

ნებივე განეწილებიან ვენახებსა, აგრეთვე ველის მიწასაც (არა უმეტეს ძირის მიწის ზომისა), რომელიც მოუშორებლად აკრავს სამოსახლოთა. (მუხლი 35).

ბ. სარგებლება გლახთ-მიერ მიწით და სხვა მამულებით.

39. ვენახები, აგრეთვე ყოველივე ვაჭრობის და სხვა აღებ-მიცემის შენობები, რომელიც მოუშორებლად აკრავს ეზოს ანუ სამოსახლოს, გარდაცემის დროს უტყობთ პირთადმი, შემოვლენ ერთსა და იმავე კანონებ ქვეშ, როგორათაც სამოსახლო და ველის მიწები; მაგრამ კი თუ არ აკრავს სამოსახლოს, მაშინ გლახთ მიეცემათ ნება გარდასცენ იგინი ყველა წოდების პირთაცა, განურჩევლად.

შენიშვნა. ვენახები, აგრეთვე ვაჭრობის და სხვა აღებ-მიცემის შენობები, რომელიც არ აკრავს ეზოს ანუ სამოსახლოს, მებატონეს შეიძლება შეისყიდოს თავისთვის იმფასად, როგორც ისინი სხვა გარემო კაცებდ გაყიდულ იქნებიან. სურვილი ამაზედ მებატონემ უნდა გამოაცხადოს მირთვის პოსრედნიკის წინაშე, არა გვიან ერთის წლისა დღიდან მამულების გარდასვლისა მსყიდველის მფლობელობაში. ამასთანავე მებატონე მოვალეა გარდუხადოს მსყიდველს იმისათვისაც, თუ რომ გაუკეთებ რამ იმას ამა დროს განმავლობაში.

40. საკომლო მიწების გარდასვლის დროს შემკვიდრობით, როგორათაც სამოსახლო და ვენახები, აგრეთვე ველის მიწებიცა შეიძლება დაიყენენ ნაწილ-ნაწილად, მაგრამ ისე, რომ თეთრო ნაწილი ველის მიწისა და მდლარის ვენახისა არა იქნეს ერთ ქვედაზედ ნაკლები, ხოლო დაბლარის ვენახისა და სამოსახლოსი არა იქნეს ნახევარ ქვედაზედ ნაკლები.

41. იმ შემთხვევაში, როცა მალლარი ვენახი გლახის დაუდევრობით მიხწეულ იქნება იქამდინ, რომ დაიკლებს მესამედ მოსავლს, მებატონეს აქვს უფლება მოასთხოვოს ზიანი ანუ დანაკლისი, რომელსაც განაწესებს მიროვის პოსრედნიკი.

42. თუ გლახმა არ მოინდომა დაიტოვოს თავის სანადაგო სარგებლობაში დაბლარი ვენახი, მაშინ იგი მოვალეა მიიჩნიოს მისდა მცირე ტყის ნაწილი (სახარდნე, სასარე და საქარე, მუხლი 18) დაუბრუნოს საკუთარ განგობაში მებატონეს.

43. ველის მიწები, რომელიც პირველთ ცხრა წელთ განმავლობაში დიდგან და მტკიცებისა ამა კანონთა, გაუქმდებიან ანუ გახდებიან ბეთალმანად, და როდესაც დანარჩენის მასუკან ერთიან მიჩენილის ველის მიწების რიცხვითგან შეხედვით თეთრო კომლზედ ნაკლებ ძირის მიწის ზომისა, აგრეთვე გაუქმებული იმავე ვადის განმავლობაში სახლი და სახლ-კარინობის შენობები, მიერთვიან დაბოლოებით საბატონო მიწებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ გლახების საზოგადოებრივად არაინ აღმოჩნდა მსურველი მიიღოს იგინი თავის სანადაგო სარგებლობაში დაწესებულის გარდასახადით.

44. სრულიად და თენიერ ყოველის მიხეზისა მიერთვიან საბატონო მიწებს ის ყოველი გლახთადმი მიჩენილი მიწები, რომელიც შეიქმნებიან ბეთალმანად უკვე შემდგომ განვლისა პირველთა ცხრათა წელთა ამ კანონების დამტკიცების დღიდან.

„დროების“ კორექსიონდენიები.

პუთისილიამ. — ამ სამთარში ჩვენ იმერეთში — სამეგრელო-ზურიაანა — რამდენიმე ჯერ დაგვიზამთრდა და გავიზაფხულდა. საბაგელს, პირველ დარებს ხშირად მოსდევდა საუცხოვო გამაცოცხლებელი ტაროსები (ამინდი). ერთი უმთავრესი უბედურობა ეს არის ამ მხარისათვის, რომ ესეთი უცებ კი და ავი ტაროსის გამოცვლა მეტად მავნებელია სიმთელისათვის, მეტარე ამ სამთარში ხშირია აქ ცაცეებით

ავაიმყოფობა; აქური ლოშპიტლები საესე არიან ავთმყოფებით, რომელნიც უფრო ციციებით ავთ დამხდარან.

როგორც საზოგადოთ ჩვენებურ ხასითის დაუდგომლობას ვმდურთან, ისე აქური ჰაის უთავბოლოობას ვემდურით. ხედავთ მშენიერი დარია; მთელი დღე ცა სარკესავითაა მოწყმენდილი. არსად ღრუბლის ნამცეცაც არ გამოჩნილა, ისე დაღამდა. ამ მხარულ დღეს მოჰყვა მშენიერი საღამო და მასთან უტხო დამე; ცა გადაიტედა ვარსკვლავებით. მინ იფიქრებს რომ რამოდენიმე დღეს მინც არ გასწევს ეს საკვირველი დარი. მაგრამ, მეორე დღეს, ჯერ არც კი გათენებულა და ისმის ქარის გრიალი, ამასთან საშინელი წვიმა ან თოვლი. ღამდა, ისევე ზაფხულის დარი იყო, გათენდა ზამთარია. ეს ავი ტაროსი ისევე უცებ დაუთბობს ალაგს კარგს მშენიერს დარს.

არ იფიქროთ, რომ დაუდგომლობაში ჩვენ დაუფვარდით ჩვენ ჰავას. პი ჩემ ნაცნობ კაცთან ვზივარ სახლში. მიღაც სტუმარი შემოვიდა ამ ჩემ ნაცნობთან, — სჩანს საბატოი კაცია, როგორც ეტყობა ქვევში; ეს კი მწყენს, რომ ჩვენებური წამხდარი გაზდილობის და გვარად მეტად ძირს დაუკრა თავი მასპინძელს და ტუბილად იღიმიდა. რა საბაგელია, რომ იცოდეთ ზოგიერთის პირმოთენე დიმილი და ძირს თავის დაკრა!

მასპინძელმა თავზით მიიღო სტუმარი. — თქვენთან სათხოვარი საქმე მაქვს, თუ საწყენად არ დარჩება, ეუბნება სტუმარი მასპინძელს, დამტკბარი ხმით და სახით.

— დიდის კმაყოფილებით ავასრულებ, თუ კი შემიძლია, უზასუხებს მასპინძელი.

— თქვენ ყოველისფერი კაი შეგიძლიათ, შენი ჰირიმე; თქვენი ბატონსება და განათლება განთქმულია. . . იმედი მაქვს, შეიბრალვებ ჩემ თხოვნას, თუ შეიძლება.

— ძარგი, რა გნებავთ, ჰკითხავს მასპინძელი. ძარგ ხანს ამკობდა სტუმარი მასპინძელს და როგორც იყო, ბოლოს, გამოსტევა თავისი თხოვნა, რომელზედაც უარი მიიღო.

— რა მიზეზია ესეთი, რომ ჩემ თხოვნას არ მისრულებთ? სოტა მომალლო და აჩქარებულ ხმით ჰკითხავს მასპინძელს სტუმარი.

— აკი ვითხარით მიზეზები; ძალიანაც ვისურვო, არ შემიძლია თქვენი თხოვნის ასრულება.

— როგორ თუ არ შეიძლება; მე თქვენ გიჩივლებ მთავრობასთან, მაგიერს გადაგხდის; აქაც ვიჩივლებ, ტფილისშიაც მთავარმართებელთან და პეტერბურგშიაც; შეჰყვირა სტუმარმა და გავარდა კარში, გაცეცხლებული სიანხლით.

თითქო ჯერ გავყავა და ქებით შევამკო, ასე უცებ რამ გააცოფა ეგ შენი სტუმარი, ვეუბნები ჩემ მეგობარს, რომელსაც სიცილი მოერია ამ სცენის შემდეგ.

ერთი ამ წლის ზამთართაგანი იყო მეტად ხანგრძლივი; თოვლს, ქვენა ქარს, წვიმას არ შეუსვენიათ და რიგ-რიგად უთმობდნენ ერთმანერთს ადგლს; მაგრამ უფრო კი სამივე — წვიმა, ქარი, თოვლი ერთად და ერთგულად მოქმედებდნენ. ამ შემთხვევაში იმათმა ხასიათმა აჯობა ჩვენ ხასიათს: ჩვენებურებს სიზმრათაც არ ეჩვენება ესრეთი ერთგულება და ერთმანერთში მეგობრობა! ჩვენ, ქუთათლებს, დახშირებულმა აედრობამ იმითაც გვავნო, რომ დაძვირა ხორაგი და ყოველ ნაირი საზარდო. საზოგადოდ მუთაისს ვემდურით სიძვირისათვის; აედრების დროს ზამთარში ხომ ილაჯი აღარ არის — ისე ძვირათ იყიდება ყოველნაირი ხორაგი. აქური გზების გადამკიდე სოფლები ვერ ახერხებენ უძირო ტალახებს გამოატანონ და ჩამოხიდონ ქალაქში გასასყიდათ პური, ღვინო, სიმინდი, ღობი, ქათმები და სხვა ამისთანაობა. არც გზა და კვალი აქვთ აქური სოფლებს; არც თითონ აცვით რიგინათ, რომ გამოხედონ დიდ აედრებში წამოსვლა, და არც ისე ნაპატივები ხარები ან ცხენები ჰყავთ, რომ იმითი ჩამო-

ზიდონ თავიანთი ჰირნახული გასასყიდათ, ვისაც კი გაჩნია. აქური სოფლები ან სულ ფეხ-მიშველები დადიან და ან დაგლეჯილი ქალამნებით; ტანს ისე აცვიან, რომ გატიტვლებულ გვერდებში და ზურგზე წვიმა და ქარი და თოვლი თავისუფლათ სცემს. მისე კი ხურავთ თავიანთი საკუთარი. ლეთის მოცემული სქელი, გძელი და, ხშირად, ხუჭუჭი თმა; ამასთანავე ხან და ხან ფაფანაკიც, ან არა და დაფლეთილი ყაბალახი.

ამ წასულ 19 თებერვალს გამოცხადდა სამეგრელოში (ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრებში) გლეხების ყმობიდან გამოსვლა. ზუგდიდში გამოაცხადა ეს უმაღლესი ბრძანება უფ. მუთაისის გენერალ-გუბერნატორმა კნ. სვიატოპოლკ-მიჩკიმ. სენაკში — სამეგრელოს მმართველმა დეისტ. სტატს. სოც. მ. მლასტოგმა. ლეჩხუმში — სამეგრელოს რჩევის უფროსმა წევრმა პოლკოვნიკმა ს. მაჭავარიანმა. ღამსწრენი, როგორც ამბობენ, თვით გამოცხადების დროს გადაელო აედარს ორ საათამდის. შემდგომ გამოცხადებისა გაეწყოთ სტოლი მებატონეების და გლეხებისათვის. ცალ-ცალკე.

მეც შემიძლიან მცხოვრებლების თანახმად ესთქვა: მადლობა გმჩენს და ჰოვლად-მოწყალე იმპერატორს, რომელმაც მოანიჭა თავისუფლება ამდენ კაცს. მგონია, რომ აღარ არის ვრცელს რუსეთის სახელმწიფოში ისეთი კუთხე, სადაც რომ სუფევდეს ის სენი, რომელსაც სახელად ეწოდება ბატონ-ყმობა. ღმერთმა ინებოს და არ დაარსდეს, ჩვენი დაუდევრობით და სიზარმაკით, ზნეობით და ეკონომიური ბატონ-ყმობა და მონაობა! მთავრობამ მოსპო იურიდიკული მონაობა; ჩვენზე ჰკილია მოვსპოთ ის მონობა, რომელიც წარმოსდგება ჩვენი უსწავლელობის, ზარმაკობის და სიღარიბისაგან.

„დროების“ მეექვსე ნუმერმა გამოგვიცხადა 22 თებერვალს მზის დაბნელება. მუშუა იმედით დაკარგული გექონდა კი დარისა, მაგრამ „ღმერთმა იბრანა“: დილას რვა საათზე მთელი ცა დაიკალა ღრუბლებისაგან. 12 საათზედ დაიწყო და მეორის ნახევარზე გათავდა ეს „კერძობითი“ მზის დაბნელება. როგორც მოგვხსენებთ, მეტ ნაწილს ხალხს, ვისაც გავგონა, ძრიელ ეშინოდა „დაღამებისა“. სოფლები ვერ ბედადნენ შორს წასვლას, ვინცობაა უცებ არ დაგვიდამდესო საშუდამოთ. მუთაისში ამის მიზეზით ბევრი დუქანი იყო დაკეტული. აქური სასწავლებლების მოსწავლენი კი აღტურვილნი იყვნენ გაჭვარტული შუშის ნატეხებით; ზოგნი ბალკონიდან და ზოგნი ფანჯრებიდან უმზერდნენ მზის დაბნელებას.

ამ წასულ ყველიერის შაბათა გიმნაზიელებმა წარმოადგინეს აქური თეატრში (თუ შეეფერება ეს სახელი აქური თეატრს) რუსული და ქართული სპეტაკლები. რუსული: „რევიზორის“ პირველი და უკანასკნელი მოქმედება და „Хорошо вместе“. მორივეში მარჯვეთ იყენენ; მეტარე Теркин-ის როლი არტისტულათ წარმოადგინა უფ. მრ. მართული კარგათ წარმოადგინეს, მაგრამ პირველი პიესა (ოთხი ცოლის ქმარი) კი არაფერს გავდა: შეიძლება თათრულს გავდეს, მაგრამ ქართულს კი არა გავდა, თუმცა ლაპარაკი კი კარგი ქართული იყო და სასაცილო. მოქმედნი პირნიც კარგათ არდგენდნენ; მხოლოდ ერთი მასალა აკლდა: ჩვენებურ ხასიათს და თვისებას ვერ ატკობდი.

შოთიიდან. ძალაქს შოთში ამ უკანასკნელ ყველიერის დღეებში საზოგადოებამ მოინდომა კლუბში ცოლ-შვილით დროს გატარება. დანიშნეს ყველიერის პარასკევი და შაბათი დღეები საზოგადო მხიარულებისათვის. შეიკრიბნენ პარასკევს, კარგათ იმხიარულეს და შემდეგ ვახშამათ დასხდნენ; ამ დროს ერთმა ამ საზოგადოების წევრმა უფ.

ს. ლაზაროვიჩმა (*) წაიკითხა წიგნი, მოწერილი კამიტეტდგან, რომელიც დასაწყისში ნებული კანდიდების შესაწევრელათ. ამ წიგნში აწერილი იყო ძანდის მცხოვრებლების საცოდავი მდგომარეობა და ამასთანვე კამიტეტს გამოგზავნა რამდენიმე ლატარიის ბილეთები. ამ ბილეთების ყიდვით კამიტეტი აქური მცხოვრებლებს შემწეობასა სთხოვდა.

უფ. ს. ლაზაროვიჩმა კარგათ იცოდა, რომ აქური მცხოვრებლები თანაუგრძობდნენ ძანდის საქმეს და ლატანჯული ქრისტიანები ებრალეობთ; იმან ამ ბილეთების ყიდვის გარდა, სხვაფერიაც, ქალებს უშამავლობით, შემწეობა თხოვდა. ეს შემწეობა მდგომარეობდა ბაზრის გამართვაში. ჰოველს პირს, შეძლების დაგვართ, თითო ნივთი უნდა შეეწირა და მეორე დღეს ყველიერის შაბათს შეყრილობის დროს კლუბში თან მოეტანა. საზოგადოებამ ეს თხოვნა დიდი სიამოვნებით მიიღო.

შაბათს შეიკრიბნენ კლუბში, გაშალეს სტოლი და, ვისაც რა მოეტანა, გამოფინეს. შამოფენილი იყო: სხვა და სხვა მარმარილოს, ბროლის და ფარფორის ვაზები, ქოთნები ყვავილით, აქური ქალების ხელოვნება (ნაკერი ბალიშები, სუფრები, ლენტები და სხვა), საქმელ-სასმელი და კამიტეტის გამოგზავნილი ლატარიის ბილეთები. თუ რომელიმე ქალს დაეწყებოდა ანუ ნაკლებათ მოეტანა ნივთი, ხელში რა ნივთიც ეპყროთ, იძლეოდნენ გასასყიდათ.

მოიწიეს ორი ქალი და ერთი კაცი, რომ ეს ნივთები გაეყიდნათ. ძალთაგან მოწვეული ერთი ბიკოვის, ამ ქალაქის ნაჩინიკის მეუღლე იყო, ალექსანდრა ბიკოვისა, მეორე ლაზაროვიჩის მეუღლე და კაციც უფ. ლაზაროვიჩი. ბილეთები და ნივთები ალექსანდრა ბიკოვისას უნდა გაეყიდნა, საქმელ-სასმელი ლაზაროვიჩისას. ალექსანდრა აღებდა რომელიმე ნივთს, დაფასებდა; იმ ფასზედ, ვისაც სურდა, მოუმატებდა, მეორე და მესამე გადუმატებდა, ვისიც უკანასკნელი ფასი იქნებოდა, ის დაატოვებდა ნივთს. ნივთების და საქმელ-სასმელის გაყიდვით შეგროვდა 227 მანეთი. ბილეთებიც გაიყიდა მრავალი, თითო ბილეთის ფასი იყო სამი მანეთი. ქველიერი რომ არ ყოფილიყო (ყველიერში ყველას მომეტებული ხარჯი აქვს) და ესე უეცრათ არ მომხდარიყო, მომატებული შეგროვდებოდა. ამ შეგროვილ ფულებით ალექსანდრა ბიკოვის და ლაზაროვიჩის მეუღლე აპირებენ ნივთების ყიდვას და ალევრის გამართვას. იმედი აქვთ, რომ ამ ალევრით ათასი მანეთზედ მეტი შეაგროვონ და კამიტეტში გაგზავნონ.

აქ ძანდის სხვა და სხვა კამიტეტებს ჰყავთ აგენტები. ამ აგენტებს ათასი მანეთის მეტი სხვა და სხვა ფასის ბილეთები გაუყიდნათ და კიდევაც ჰყიდიან.

ამ ჩემის წიგნის ბოლოს ვისურვებ, რომ ღმერთმა ყოველს კაცს დაუმკვიდროს კეთილი თანა-გრძობა ყოველ ამგვარის კეთილის საქმის გასაძლიერებლათ მომავალშიაც დიმიდი მაქვს თქვენკენაც არ დასტოვებენ ძანდის კეთილს საქმეს უთანაგრძობოთ და შეეწვიან იმ საცოდავს უსჯულოების მსხვერპლებს.

„დროების“ კორექსიონდენთაგანი. 1867 წელსა 2-ს მარტს.

P. S. მასულს თებერვლის 22-ს აქ იყო მზის დაბნელება. მზემ დაბნელება დაიწყო შუადღის დროს, 2 საათზედ გათავდა. ბინდი მზემ ჩრდილოეთ-დასავლეთით მოადგა და ნახევარზედ მეტი დააბნელა. ჰოველს კაცს ხელშეპყრო სამთლის მურით შესვრილი შუშა და მზის დაბნელებას უცქერდა.

(*) უფ. ს. ლაზაროვიჩი არის რუსის სავაჭრო ცეცხლის გემის კაპიტანი აგენტი შოთში.

პოლიტიკა.

ფრანსია. უ. შირარდენის სამართალში მიცემა. — ზაზეთში Liberté („თავისუფლება“), მის მარტივად, სწორია, რომ პირველად იმას შეხება მოქმედებაში მოყვანა ახლის კანონისა, რომელიც ბევრის შესახებ გამოვიდა. უ. შირარდენი ზემოხსენებულს რიცხვს უნდა წარუდგეს გამოძიებულს მსაჯულს უ. ზონეს.

ამ საგანზედ პირველად იწერებინ „სანაციონალი გაზეთში“: „მთხარა Liberté-ში დაბეჭდილ სტატიაში უ. შირარდენი ცხადად დახმარებით სჯის იმისთანა საგნებზედ, რომლებზედაც 1851 წლის (*) აქტით მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და რომლებზედაც თვით ოპოზიცია ვერ ბედავდა პალატაში სიტყვის წარმოთქმას. ამ სტატიას დიდი ზედმოქმედება ჰქონდა პარიზის საზოგადოებაზედ. ზაზეთის Liberté-ს ნუმერი, რომელშიაც ზემოხსენებული სტატია იყო დაბეჭდილი, ათასობით ისიციდებოდა. როცა ხმა გამოვიდა, რომ ამ სტატიას აკრძალვა დაედა და უ. შირარდენი სამართალში მიეცა. მაშინ კიდევ უფრო დასიციდა იმ ნუმერს Liberté-ს და თითო ეკვმპლარში 10 ფრანკს (ორმანეთ-ნახევარს) აძლევდნენ. ტუილის სასახლეში შირარდენის სტატიაზედ ძალიან გაჯავრებულნი არიან. როგორც იქ ეს სტატია მიიღეს, მაშინვე მინისტრები სარჩევად შეიყარნენ. ამ შეყრილობაში პირველად მოლაპარაკება ჰქონდათ ზაზეთის Liberté-ს აკრძალვაზედ, ბევრად უფრო დადგენილის კანონების ძალით. შემდეგ გადაწყვიტეს, რომ უ. შირარდენი სამართალში მიეცეს. შოველ შემთხვევაში, ეჭვი არ არის, რომ შირარდენმა თავის სტატია კარგად დაბეჭდა. თუმცა ამ სტატიაში იმას სრულიად არ გამოუცხადებია, რაც სიმწარე ფრანკულზედ გულზედ აწევს, მაგრამ ეს სტატია მაინც 24 ნოემბრის დეკრეტზედ ბასს ძალიან ცუდი ზედმოქმედება ჰქონდა საზოგადოებაზედ.“

პრუსია. პრუსიის გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ახლად მოგონებულს ნემსის თაფზედ. ამისმა გამოგონებელმა, ბერლინის ზღვის ინჟინერმა და მესხანოსმა პრაფერტმა, დაუძახა ნემსის თაფი, რომელიც თავის-თავად გაიტენება. ამ ახლის თაფის გამართლება ესეთია: მსოფლიო მართა უნდა დაუმიზნოს, და მერე უბრალო ხელის დაჭირებით ისრალოს; იმას თაფის გატენა სრულიად არ დასჭირდება, საპირის წამლეში საჭიროება აღარ იქნება. ჯერ დაქვემარტებით არ იცოან, რამოდენა მანძილზედ სცემს ამ თაფიდგან გასრაოლილი ტყეია.

ბარბალოს მოსვლა შლორენციაში. ძელნის „ზაზეთის“ კორრესპონდენტის სიტყვით დიდი შთაბეჭდილება ჰქონდა იქაურს მცხოვრებლებზედ. ბარბალოს მოსვლის მიზეზი არავინ იცის. ზოგი ფიქრობს, რომ ის კანდიდელებს უნდა მიექმადგოს, ზოგი კიდევ ამ

(*) 1848-ის წელს თებერლის თვეში პარიზში მოხდა რევოლუცია, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო მონტანის დინასტია და შრანციაში რესპუბლიკა დააწესა. ამ რესპუბლიკის პრეზიდენტად სამი წლის ვადით იმავ წელს ხალხმა ამირჩია ლუი-ნაპოლეონი, პირველ ნაპოლეონ ბონაპარტის ძმისწული. 1851 წელს, როცა კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტის ამორჩევა ტელ-ახლა უნდა მომხდარ იყო, ლუი-ნაპოლეონმა ჯარის შემწეობით მოსპო მანინდელი კონსტიტუცია და ახალი კონსტიტუცია შეადგინა, რომელიც პრეზიდენტს დიდს უფლებას აძლევდა. ხალხმა საზოგადოების მიცემით დაამტკიცა ეს კონსტიტუცია და ნაპოლეონი ხელახლა ამირჩია პრეზიდენტად ორის წლის ვადით. შემდგომ 1852 წელს ხალხის ნებართვით ის ფრანკულზედის იმპერატორად გახდა და დირქვა სახელად — ნაპოლეონ III.

შევით „1851 წლის აქტ“ იმ აზრით არის ნათქვამი, რომ ამ წელს ნაპოლეონმა დიდი უფლება მიითვისა შრანციაში.

ბობს, რომ იმას სურს ამორჩევაში დაესწროს და ეს საქმე კეთილად წარმართოს. ზაზეთის „Italia“, სიტყვით მარბალი ძაბრერას ჩქარა დაბრუნდება. დიდი ხანი არ არის რაც ბარბალოს მენეციაში მივიდა. აქ ფილჰელენების (*) შეყრილობა მოხდა; ამ შეყრილობაში სენ-მარკ-შირარდენიც მოწვეული იყო პარიზად. ბარბალოს სეიტაში არის, იმისი სიძე, მიოარი ძანციო, პოლკოვნიკი პირბი და ენეციელი მორეტტი. მენეციელები ბარბალოს აღტაცებით მიეგებნენ.

ოსმალეთი. მოვიყვანო ერთს დიდად შესანიშნავს დოკუმენტს, რომელიც საბერძნეთის გაზეთებში დაბეჭდილი იყო. ამ დოკუმენტით კანდიდელების უმთავრესი კრება გამოაცხადებს, რომ ლამბის არხიებისკაპოზს სჯული აღარ შეიწყნარებს. ამ ის დოკუმენტი: „ზურვა, 30 ნოემბერს, 1866 წ. კანდიდენო! მქვენ იცით, თუ რა კატასტროფა შეემთხვა არკადის მონასტერს, რომელმაც გონებაში გაგვიცხოვლა მისოლონგის გირობა. მქვენ ესეც იცით, რომ 250 ამ მონასტრის მცველებმა წამალი აფეთქეს, რომელმაც ისინი ჰაერში ასტყორცნა. ამ ნაირის თავ განწირულების მიზეზი ის იყო, რომ მონასტრის დიდ-ძალი მტერი შემოერტყა. აქ ბერძნებმა გამოჩინეს იმ გვარზედ სიმტკიცე თავის აღთქმაში და ფიცში, როგორსაც ჩვენა ვხედავთ მერმობილის გმირებში. ამავ დროს ოსმალებს დაეხოცათ ორას ათას ხუთასი კაცი. მქვენ აგრეთვე იცით, რომ როდესაც მტერი მონასტერში შევიდა, იმან ლუქმა-ლუქმა აქცია მოხუცნი, გავარდლებულს საკირეში შთაწვა ძუძუთა ყმაწვილები, სტანჯა ორსულნი, შეურაცხ-ჰყო ყოველი წმინდე და მრავალი სხვა უღვთოება მოიქმედა, უღვთოება, რომელმაც ქვეყანა შეაძრწუნა. მინ იყო მიზეზი ამ საშინელის უბედურებისა? მინ უჩვენა გზა არკადისთან მისაღვლეო? ეს იყო, ძნელი გამოსატქმელად, თვით ლამბის არხიებისკაპოზი, ეს ახალი მეთალიტი, რომელიც ღირსი არ არის, რომ ლეთის მსახურად იწოდებოდეს. იმან არ მიხედა დიდებულს ძოლოგრიტის მწყემსს, ბერმანს, რომელმაც 1821 წ. თავისუფლების დროს აღმართა; იმან არ მიჰბაძა სრულებით მარად-ჟამ დაუფიწყარს პატრიარქს ბრიგოლს, რომელმაც თავის მამულის ღალატს სიკვდილი არჩია; არა, იმან მიჰბაძა იუდა ისკარიოტელს, რომელმაც ოცდა ათს ვერცხლზედ გაყიდა იესო ძრისტე. მთელი მლონის ხალხი სწყველის მას; და თქვენ, კანდიდებო, სამგზის შეჩვენების მერე, ვცადეთ, რომ ესეთი მოღალატე კაცები სხვებიც იპოვოთ და ღირსეულად დასაჯოთ იგინი. ამ დოკუმენტები, რომლებიც მოღალატის დანაშაულობას ამტკიცებენ.

არკიებისკაპოზის წიგნი მუსტაფა-ფაშასთან. „მქვენო უღმატებულება! ზაუწყებთ, რომ დროა არკადის მონასტერზედ გამოცხადება, როგორათაც ჩვენ ეს მოლაპარაკებული გვაქვს. როდესაც ამ მონასტერს დაანგრეთ, მაშინ მთელს რეტიმის მარხას თქვენ დაიპყრობთ, რადგანაც იმისი წარმომადგენლები აქ არიან შეყრილნი და ყოველგვარი სამხედრო იარაღი იქ ინახება.“ პანსიოსი.

შაშის წიგნი არხიებისკაპოზთან. „ღვს გამოველაშქრებ არკადის მონასტერზედ და ისე მოვიქცევი, როგორც მოლაპარაკებული გვაქვს. მივირის, რატომ არა გზავნით დაპირებულს ნიეთებს. იმედი მაქვს, რომ დაბრუნების შემდეგ იმათ აქ ვკავებ.“

— მოსტანტინოპოლიდამ იწერებინ: „დიდმა ვეზირმა სულთანის სახელით მთავარს ძაროს ნება მისცა, რომ ფული მოსჭრას, ყოველგან და თვით ოსმალეთშიაც ელჩებთ დანიშნოს

(*) შილ-ჰელდონი ნიშნავს ბერძნების თანამგზობის ანუ მოყვარეს.

რუმინელები, დაწესოს მოსტანტინოპოლიში რუმინის საფოხტო სამმართველო, რომ დასავლეთის ფოჩტასთან გაუწყვეტილი მისვლა-მოსვლა იყოს.

საბერძნეთი. ზაზეთში Semaphore de Marseille აღწერილია, თუ რა გვართ საბერძნეთის ცეცხლის-გემი „Panheelenion“, გამოუსხლტა ოსმალებს ხელიდგან. Panheelenion-ს გამოვიდა ორი ოსმალეთის ფრეგატი, მიზეზი ის იყო, რომ ამ ცეცხლის გემს კანდიდელებთან განუწყვეტილ მიჰქონდა თოფ-იარაღი და სასმელ-საქმელი. Panheelenion-ი შეეფარა ჩერგოს პორტში, სადაც იმას გამოედევნა ორი ოსმალეთის გემი და მუდამ თვალს ადევნებდა, მაშინ როდესაც ის სწრაფად უნდა წასულიყო ძანდიას: აქ იმას უსათუოდ მღვლოდნენ. Panheelenion-ის კაპიტანმა მაშინაზედ სველი თივა დაადგინა და ცეცხლი მოუკიდა. მრტქლის-აასვლე-ლი მილიდგან კომლი სქლად ავიდა. ოსმალეთის ფრეგატებს ეგონათ, რომ საბერძნეთის ცეცხლის-გემი წასავლელად ემზადება და მუდამ მზათ იყენენ გამოსადევნელათ. ამ გვართ ცეცხლის-გემმა ორი დღე და სამი ღამე ტყუილად აცდევინა, ის სველ თივას სწავდა, მაშინ როდესაც ოსმალები ნახირსა სწავდნენ. შემდეგ ამისა Panheelenion-ის კაპიტანმა გაფრიალა ბაირალი და თავისუფლად გაჰკურცხლა ორს ოსმალეთის ფრეგატს შუა; მაგრამ ფრეგატები Panheelenion-ს ვეღარ გამოვიდნენ ნახირის უქონლობის გამო. მერე დღეს Panheelenion-მა თავისი ბარგი ძანდიის ნაპირზე გადიტანა და მერე სირში უფებლად დაბრუნდა.“

ტ ე ლ მ გ რ ა მ მ მ მ ი,
პეტერბურგში მიღებული.

ქოსტანტინოპოლი, 14 (26) თებერვალს. საბერძნეთის ცეცხლის-გემი „პანჰელენიონი“, რომელსაც დასაქრათ გამოუდგა სულთანის იახტა „თალია“, ჩერგოს დამალა და შემდგომ მოატყუა „თალია“ და მშვიდობით მივიდა ძანდიას.

პირველს და მეორეს თებერვალს ოსმალებს და განდგომილებს შუა გაცხარებული ომი მოხდა ძანდიის ადმოსავლეთს ნაწილში, ძარის ახლოს. ამ ბრძოლაში 8 ათასი კაცი დაესწრო. ბერძნების სიტყვით განდგომილებმა გამარჯვეს. ამავ დროსვე მეორე ბრძოლა გაიმართა კუნძულის დასავლეთს ნაწილში, როსტის მახლობლი; აქ შეიტაცნენ ექვსი ოსმალეთის ბატალიონი, რომელიც ძანდიამ სოლიონში მიდიოდა, და 2 ათასი კანდიდელები და ვოლონტერები. ისინი ორ დღეს იბრძოდნენ და ბოლოს ოსმალები უკუ-მიიქცნენ.

მუსტაფა-ფაშა და სეფერ-ფენდი თვითონ ნიშნენ ძანდიის დეპუტატებს მოსტანტინოპოლიში გასაგზავნათ, რადგანაც ვერ მოახერხეს, რომ ისინი ხალხს ამოერჩია; მაგრამ იმათგან დანიშნული დეპუტატები უარს ამბობნ მოსტანტინოპოლიში წასვლაზედ. ძანდიის სანაციონალი კრებამ კონსულების წინაშე პროტესტი გამოაცხადა ამ გვარს ამორჩევაზედ და ითხოვა, რომ ძანდია საბერძნეთს შეურთონ, და ქალები და ყმაწვილები კუნძულიდგან გადიყვანონ.

თესალიაში მიტრტომის ახლოს ოსმალებს და რამდენსამე ასს ბერძენს გაცხარებული ბრძოლა მოუხდათ. ბერძნები დამარცხდნენ. იმათგან 150 კაცმა ერთს მონასტერში თავი შეფარეს და იქ, სამის დღის ბრძოლის შემდეგ, ყველანი დაიხრცნენ, 12 დაჭრილის გარდა, რომელნიც ოსმალებმა ტყვეთ წაიყვანეს.

მევიპტის ვიცი-კაროლმა გამოგზავნა მოსტანტინოპოლის ალი-ბეი, რომელმაც სულთანს უნდა მოსთხოვოს იმისთანა უფლებანი მევიპტისათვის, როგორიც რუმინის მიეცა.

რუსეთის ელჩი გენერალ-ადეუტანტი მენსტრევი პორტას ურჩევს, რომ ქანდიის სტანტინოპოლის დაუთმოს.

შფილისიდამ მივიდა მოსტანტინოპოლის გენერალი ზინოვიევი, ძავეკისის სომხების დეპუტაციითურთ, რომელიც გამოჰყვება იქიდან ახალს-სომხის პატრიარქს-კათოლიკოსს.

პატრასი, 12 (24) თებერვალს. ცელილება საბერძნეთის ჯარში ძალიან მარჯვეთ წარმოებს. შრანციის მეფაბრიკებს დიდ-ძალი თოფ-იარაღის მომზადება შეუწყვეტეს.

ოსმალეთის მმართველობამ განათავისუფლა ძანდიის განდგომილები, რომლებიც იმას ტყვეთ ჰყვანდა დაჭრილი.

ბერლინი, 19 (28) თებერვალს. რეის-სტაგის პოლმელნი წყერნი ფიქრობენ პროტესტის შეტანას იმ საგანზედ, რომ პოლშის პროვინციები ჩრდილოეთ-ბერმანის კავშირში შერაცნეს, ამასთანავე იმათ უნდათ რეის-სტაგში წინადადება შეიტანონ, რომ პოლშურ ენას იმისთანა სიმართლე მიენიჭოს, როგორც ნემეცურს ენასა აქეს.

ქოსტანტინოპოლი, 17 თებერვალს. (1 მარტს). სულთანმა უმაღლესის ჩინებით დაასაჩუქრა ქრისტიანები, რომლებიც ოსმალეთის სამსახურში ირაცხებინ.

სულთანმა მიიღო აუდიენციაში ახლად დანიშნული მსოფლიო პატრიარქი ბრიგოლი.

ბერლინი, 18 თებერვალს (2 მარტს). ბერმინის რეისტაგმა დღეს ამორჩივა პრეზიდენტათ უფ. სიმსონი, რომელიც შრანკურტის პარლამენტის პრეზიდენტათ იყო. რეის-სტაგის პირველ ვიცი-პრეზიდენტათ ამორჩივეს ლერცოვი შესტი, რომელსაც მომეტებული კენჭი ამოუვიდა სანაციონალი კავშირის პრეზიდენტს ბენინგსენზედ. ბენინგსენი მეორე ვიცი-პრეზიდენტათ დარჩა.

ბრიმსტი, 18 თებერვალს (2 მარტს) ბარბალოს ბერძნების დეპუტაცია მიიღო. იმან დაარწმუნა დეპუტაცია, რომ მთელი იტალია ბერძნებს თანაუგრძობს. ბარბალოს დეპუტაციას უთხრა: ძანდიას მე გავგზავნე ბერძნების მისაშველებლად ჩემი შეილი რიჩიოტი და ბერი აფიცრები; თუ გარემოება კეთილ-საიმედო იქნება, მე თითონ წამოვალ თქვენთან.

— **პარიში, 18 თებერვალს (2 მარტს),** Memorial Diplomatique-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა მოსტანტინოპოლიდამ: შრანცია, ანგლია და რუსეთი დასთანხმდნენ, რომ ძანდიას სრული ავტონომია მიენიჭოს. პორტა ამავდ წინააღმდეგობს. მაგრამ ამ დაბრკოლებას ძალა არა ექნება, რადგანაც მეფარველს სახელმწიფოებს შუა მტკიცე თანხმობა მოხდა. სერბიის საქმეზედ მოლაპარაკება იმითი გათავდება, რომ ამ მოკლე დროში სერბიის ციხეებიდამ და თვით ბელგრადის სიმაგრადამ ოსმალეთის ჯარები გამოვლენ.

ქოსტანტინოპოლი, 21 თებერვალს (5 მარტს). ძარგი ამბავი ისმის: ძანდიის კუნძულიდგან ბერძნებზედ ოსმალებმა დიდი ზარალი გასწიეს. მანდგომილების რიცხვი ძანდიის კუნძულზედ თან და თან მრავლდება. ბერძნები ამტკიცებენ, რომ ცოტა ხანს შემდეგ ოსმალების ხელში დარჩება მხოლოდ რამდენიმე ალაგი ზღვის პირათ. ოსმალეთის ჯარი ძანდიის კუნძულზედ ბევრს გაჭირვებას ითმენს. დამარცხების გამო გაჯავრებულნი ქრისტიანებს ხოცვენ.

ზუშინ მოსტანტინოპოლიდგან პორტამ გაგზავნა სამი ფრეგატი ძანდიის კუნძულზედ ჯარით და საზრდოთი.

ბერძნებს იმედი აქვთ, რომ საბერძნეთის სამეფოს, შრანციის წინადადებით, ძანდიას, მპირს და თესალიას შეურთებენ.

თესალია და მპირი დამშვიდებულნი არიან. შევლა დიდის სახელმწიფოების ელჩებმა მოსტანტინოპოლიში მოსთხოვეს პორტას, რომ



იმან პატი-გუმბონი და ქრისტიანების პრივილეგია ასრულებდაში მოიყვანოს.

ლონდონი, 23 თებერვალს (7 მარტს). ირლანდიაში სხვა და სხვა ალაგას ფენიელეები აღდგენ. შენიელეებს და მმართველობის ჯარს შუა მოხდა შეტაკება. ამ შეტაკებაში, ბევრი მოკვდა, ბევრი დაიჭრა და ბევრი ტყვეთ წაასხეს. მრავალს ალაგს რკინის გზები და ტელეგრაფის მართულები გააფუჭეს.

ბუხარესტი, 22 თებერვალს (6 მარტს).

დვუტატ-პალატამ მიიღო ბრადისტიანოს წინადადება, რომელიც გამოაცხადა, რომ მინისტრებმა თავისი თანამდებობა კარგათ არ აღასრულეს. ამიტომაც მინისტრები სთხოვეს სამსახურიდან დათხოვნას. მთავარს ძარლს ჯერ არ მიუცია თავისი თანხმობა იმათ თხოვნაზედ.

ტილისში მიღებული.

პეტერბურგი, 9 მარტს. „პრუსიის სახელმწიფო მარცხენელმა“ საყოველთაო გამოაცხადა საკავშირო ტრაქტატები, რომელიც მოხდენს პრუსიასა და ბავარიას შუა, აგრეთვე პრუსიასა და ბადენს შუა. ამ ტრაქტატების პირობით იმათ შეჰკრეს კავშირი რამინანობის დროს თავის დასაცელოდ და აგრეთვე მტრის თავს დასასხმელოდ. მისი დროს ეს სახელმწიფოები ერთი მეორეს გადასცემენ მთელს თავის სამხედრო ძალას. თუ რამ ატყდა ბავარიის ძარლოი და ბადენის დიდი ლეკოგოი თავიანთ ჯარების უმთავრესს მხედართ მთავრად დანიშნენ პრუსიის კაროლს. ეს ტრაქტატები დრომდის საიდუმლოთ უნდაარსებობდნენ.

პეტერბურგი, 11 მარტს. პარიჟიდან გვაცნობენ, რომ სჯულის-დამდებ კორპუსში ძალიან გაცხარებული და მღელვარე ბაასი მოხდა და ამის გამო საქმეების წარმოება სასაშროა.

სტატს-სეკრეტარი მილიუტინი ავათ-მყოფობის გამო პოლშის სამეფოს კანცელიარის მმართველობის თანამდებობიდან დაითხოვება, მაგრამ ამასთან ის დარჩება წევრათ, როგორც სახელმწიფო რჩევისა, ისე პოლშის საქმეების კამიტეტისა. შინა-საქმის მინისტრის ამხანაგად დანიშნება: კამერგერი, თავადი ლობანოვი-როსტოვსკი.

ტილისი. მთავრობის ნებართვით 27 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ მოხდა პირველი ყრილობა ტილისის ქალაქის საზოგადოკრებისა, ბალაინის პროსპექტზედ. სარაჯიშვილის სახლში. ასს ხმოვანში ოთხმოცდა შვიდი დაესწრა. ძრება გაიხსნა ქალაქის თავის გენერალ-მაიორმა პრჭრუნს სიტყვით. იმან თავის სიტყვაში წარმოსთქვა საზოგადოკრების ვალდებულებების პროგრამა: „ჩვენ უნდა ნამდვილათ ავასრულოთ უმაღლესი ნება, რომელიც გადმოგვეცემო დადგენილის მთავრობის ხელით; ჩვენ უნდა განსაკუთრებით ვიზრუნოთ საზოგადო მეურნეობაზედ; ამ საშუალებით უნდა გამოვიყენოთ ტილისის გაქირავებულ მდგომარეობისაგან ფულის უქონელობის გამო და უნდა დაეამკვიდროთ კეთილ-მდგომარეობა განსაკუთრებით ღარიბი ხალხისა; ჩვენ უნდა შევწიროთ საზოგადო სასახურისთვის ყოველ-გვარი ჩვენი პირადი სარგებლობა და მიმართობა.“

ამ სიტყვის შემდეგ დაიწყო რიგრიგით მოხსენებების კითხვა.

ეს ყრილობა იყო აუცილებელი (чрезвычайное) და გაგრძელდა ხუთს დღეს. ამ ყრილობაში დასდევს, 1) რომ ამოტრიათ საქალაქო სეკრეტარი, 2) დაემტკიცებინა ფული, რომელიც დაიხარჯა სადგომის ქირაში და იმის მებლით მორთვაში, 3) რომ დაემტკიცებინათ ჯამაგირი, რომელიც ეძლეოდა ჩინოვნიკებს თავიანთ ადგილებზედ დარჩენილებს

ახალი წესის დამყარებამდის, 4) რომ დაემტკიცებინათ დესეტნიკების დაქირავება დაბალის ხარისხის სამხედრო მოსამსახურეების მაგიერად, 5) რომ დაერჩინათ თავ-თავიანთ ადგილებზედ უწინდელი კამისარები მომავალის ოკტომბრის ყრილობამდის, 6) რომ დაენიშნათ გამგე მართველობაში: ხაზინადარი, მეორე სეკრეტარი და ადვოკატი, 7) რომ დაემტკიცათ ფული, რომელიც დაიხარჯა საუკეთესო კამერაზედ და წოდების გასამგებობაზედ, 8) რომ დაენიშნათ კამიტეტი, რომელიც უნდა განეხილა საგანი ქალაქის პურის მაგაზინის დაფუძნებაზედ, 9) რომ დაენიშნათ ნახევარ პროცენტის ხარჯის შეწერა უცხო ქვეყნებზედ და უცხო ქალაქების მოვაჭრეებზედ, 10) რომ დაენიშნათ ახალი ტორგები იჯარით სასწორის მიცემაზედ.

პეტერბურგის ბიჭის ამბავი, 23 თებერვალში.

წასულ კვირებში, თუმცა აღებ მიცემობა მაგდენი არ იყო, მაგრამ ბიჭის მდგომარეობა მკვიდრათ არის და ზოგიერთის ბილეთების ფასაც აიწია.

1) მოგებით ბილეთებმა აიწიეს 108 მანეთიდან 110 მანეთამდინ. როგორც ისმის, ამბობენ, რომ ფასი ბილეთებისა უფრო აიწივნენ, რადგანაც ამას ცდილობენ ბანკერები, რომლებსაც ამ ბილეთებისა ბევრი აქვთ.

2) მოგებით ბილეთები თუმცა დაეცნენ 106 მან. 75 კაპიკ. 105 მან. და 75 კაპიკამდინ, მაგრამ პუბლიკა ძალიან ბევრსა ყიდულობს.

50% ბილეთების ფსი დამკვიდრდა 80 მანეთზე, და როგორც სჩანს, აღარ დაიწვეს.

მართალია კურსი ცვლილებაშია, მაგრამ ქვეითი არ იწვეს.

პოლუმპერიალის ფსი არის 6 მან. 12 კაპიკ.

ტილისი, 15 მარტს.

1) მოგებით ბილეთები ბანკში არ იყიდება, და ამიტომაც დაწესებული ფსი არ არის. ტერა პირები ითხოვენ 115 მან.

2) მოგებით ბილეთების ფსი ბანკში არის: 110 მან. 10 კაპ.

50% ბილეთები ისე ფსობს, როგორც მოსკოვში და პეტერბურგში. ამ ორ თვის წინათ ამ ბილეთებს სულაობით ფსი არა ჰქონდათ და არც იყვნენ მყიდველები; მაგრამ ამ ჟამად 80 მანეთზე ნაკლებ არ იშოვება და, როგორც გვეხსის, ძალიან იყიდება, ამიტომაც, ეჭვი არ არის, რომ კიდევ აიწივს.

პოლუმპერიალი ფსობს 6 მან. და 50 კაპ.

როგორც ისმის ამ ცოტას ხანში თეთრი ფული გაიფუტება. ამის მიზეზი ვითომც ის არის, რომ, რადგანაც რუსის გერცხლის ფული დაბალი პრობისა არის სპარსეთიდან უკან დაუბრუნებიათ და ერთათ მოაწივდება ტილისში. ამ ჟამათაც არის 100 მან. 97 მანათათ.

სახაზინო განცხადება.

(Закавказский Вѣстникъ № 19).

9) ტილისის გუბერნიის სამმართველომ დანიშნა გასასყიდათ უძრავი ქონება, კუთვნილი აწ გარდაცვალებულის კომისიონერის შაროვის მემკვიდრეთა, გარდაცვალებულის კაპიტანის ალექსანდრის და სამსახურიდან გადამდარის პოლკოვნიკის იგორ ივანეს ძეთა შაროვეებს. ეს ქონება შესდგება: 1) ახალი ორ-ეტაჟიანი ქვის სახლისაგან, რომელსაცა აქვს ორი ქვის ფლიგელი ორ და ერთ ეტაჟიანი, სამსახურსაგან, რომელიც ეფუძნება 2952 კვადრატის არშინის მიწით, და 2) ახალი ორ ეტაჟიანი ქვის სახლისაგან, ორ ეტაჟიანი ქვის ფლიგელით, შენობაებით, ეზოთი, ბაღით და 2952 კვადრატის არშინის მიწით, რომელიც არის დუაფებული 18,000 მანეთათა. ეს მამული ისე ყიდება ვალში. ამ ქონების გასასყიდათ არის დანიშნული 27 მომავალი მაისი.

10) ტილისის უბნის სამსჯავროში ამ წლის 16

მაისს მოხდება ტორგი გასასყიდათ ერთ ეტაჟიანს ქვეით-კირის სახლისა და ვენახისა, რომელიც იმყოფება სოფელს შაქარს, სიღნაღის უფში, და ეკუთვნის შაქარის მცხოვრებს დავით ნონაშვილს. ეს მამული დაფასებულია 2440 მანეთათ და ისეილება ვალში.

11) 23 ივნისს ამა წლისა ზაკავკასიის პრიკაზში მოხდება ტორგი კანონიერი პეტროტოკით ქვეითკირის შენობების გასასყიდათ ქვემოხსენებულის ტილისის მცხოვრებლებისა, რომელთაც არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის ფულის სარგებელი: 1) სტეფანე არუთინას ძემ სურგუნოვმა 300 მან. რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში. 2) შაქარ ისას ძემ ისაევმა—450 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 3) ნიკიტა ისას ძემ შახმურადოვმა 11,250 მანეთი, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 4) მიხეილ ნიკოლოზის ძემ ლისინოვმა 5,000 მანეთი, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში. 5) მართა მათეხას ასულმა ბრიკუროვის ძემ 2,250 მანეთი, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის, 4 კვარტალში; 6) მერემა მია იკოპის ასულმა ლონაოვის ძემ—900 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 1 კვარტალში; 7) მღელვამა პეტრუს ტერ-მიკიტინის ძემ ტერ-მიკიტინის ძემ 1,000 მან. რომლის გირაოთ არის მისი დეჟნები ოთახებით, 3 ნაწილის 1 კვარტალში; 8) ახუნდ-მალამ—მეთი-ისმაილ-ოღლიმ 900, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 3 კვარტალში. 9) ბეჟუქ ბრიგოლის ძემ ბასიანოვმა 1,500 მან. რომლის გირაოთ არის მისი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში. 10) იგორ სვიმონის ძემ მარტირუხოვმა—5,250 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი ორის ფლიგელით 4 ნაწილის 2 კვარტალში; 11) შუშანა იოსების ასულმა ქინაძის ცოლმა—950 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში. 12) ბიორგი ასატურას ძემ სააკოვმა—600 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 3 კვარტალში. 13) არტემ ივანეს ძემ ნერესოვმა—1,300 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 3 კვარტალში. 14) არუთინა სარქისის ძემ სარუხოვმა—1500 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში.

12) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 23 ივნისს მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელიც ქვემოხსენებულთ ტილისის უფნის მებატონეებს ეკუთვნის. ეს მამულები იმისთვის ისეილება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს შემდგვის პრიკაზიდან გამოტანილის სხსის სარგებელი: 1) აზნაუბემა იოსებ და ივანეს გლახუს ძეთა ძობიანივილი—900 მან., რომლის გირაოთ არის მათი მამული ლუშეთის უჩასტაკში, სოფელს ძობიანთკარს; 2) აზნაუბემა როსტომ ბოგის ძემ შაბურივილი—1,300 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ლუშეთის უჩასტაკში, სოფელს საშაბუროს. 13) ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით ბორის უფნის სამსჯავროში ამ წლის 23 ივნისს მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელიც ქვემოხსენებულის ბორის უფნის მებატონეებს ეკუთვნის. ეს მამულები იმისთვის ისეილება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს შემდგვის პრიკაზიდან გამოტანილის სხსის სარგებელი: 1) პარუჩიკა თავადმა ალექსანდრე შანშეს ძემ მისითავმა—5,200 მან. რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს ბარებებს 2) თ. პეტრე ბლახას ძემ ციცივილი 1,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს ლოეს; 3) ნადლონი სოვეტნიკმა თ. ბიორგი დავითის ძემ მისითავმა—3,250 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს ბაინს; 4) თ. იკობ მირმანოვის ძემ მისითავმა—10,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელში ახლა-შთხარს, ქვემო-ალექსანდრე-ლაღიანთს და სხვ. 5) პარაპორშიკმა მსტატე მირმანოვის ძემ მისითავმა—6,650 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს: ჯანგანთკარს, ივანეს, ჩუგუსტს და წოდეს; 6) თ. ზაზა და იოსებ პეტრეს ძეთა ავალივილი—4,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს ბრეთს.

14) ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით ტილისის უფნის სამსჯავროში ამ წლის 23 ივნისს

მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელიც ეკუთვნის ქვემოხსენებულს სიღნაღის უფნის მებატონეებს. ეს მამულები იმისთვის ისეილება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდგვის სხსის სარგებელი: 1) აზნაუბემა ბრიგოლ იოსების ძემ მგალობლივილი—2,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. ახატანს; 2) თ. მალფორან, მასილ, სვიმონ და დიმიტრი ბიორგის ძეთა სიღნაღ-მისითავმა—2,500 მან., რომლის გირაოთ არის მათი მამული ს. ნაქალაქეს; 3) პადარუჩიკა იოსებ ნიკოლოზის ძემ ანდრონიკაშივილი—1,800 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს მტორს; 4) თ. ივანე დიმიტრი ძემ მანაძემ—3,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. ძარდანას; 5) თ. ალექსანდრე ძობიანთის ძემ ჯანდერივილი—6,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. მელისციხეს.

16) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 19 მაისს მოხდება ტორგი გასასყიდათ სახლისა, რომელიც ეკუთვნის კოლექსი სოვეტნიკს საფრონსკის და იმყოფება ტილისში, 1 ნაწილი 1 კვარტალში, ჰეგეჟის ქუჩაზედ. ეს სახლი იმისთვის ისეილება, რომ მისმა პატრონმა არ შეიტანა პრიკაზიდან გამოტანილის 6,000 მანეთის სარგებელი. 19) ამ წლის 1 მაისს ტილისის უფნის სამსჯავროში მოხდება ტორგი გასასყიდათ ქვეითკირის სახლისა და ეზოსი, რომელიც იმყოფება ქ. ტილავს და ეკუთვნის აწ გარდაცვალებულის არუთინა მიკიტრუმიოვის მემკვიდრეებს—სარქისს და ბასარ მიკიტრუმიოვებს. ეს მამული დაფასებულია 350 მან. და ისეილება ვალში.

სახილოზგრაფიო სნობა.

აღიბებულა და ამ დღეებში გამოვა: თხზულება თაბადი ბიორგი დავითის ძის მარი სთმისა; აეტორის პარტრეთით. 1 ნაწილი. ფასი 1 ნაწილისა ერთი მანეთი. მეორე ნაწილიც იბეჭდება.

მამოვიდა და ისეილება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში: პირველი ნაწილი სეცე კრინის მეუღლის თხზულებებისა. ეს წიგნი შეიცავს რუსულს ენაზედ დაწერილს კლეტებს.

კ მ რ მ ბ ი თ ი გ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა .

ისეილება 6 ნაჭერი მიწა და ერთი საზაფხულო სადგომი-დაჩა.

პირველი ნაჭერი მიწისა შეიცავს 10 დესეტინას და 760 კვადრ. საყენს და მდებარეობს საბურთალოზედ, ლაბორატორიის კაზარების იქით, მკრის წყლის გაღმა.

მეორე ნაჭერი შეიცავს 1986 კვ. საყ. მიწას, რომელიც მდებარეობს შერაზედ; ატურის ქუჩაზედ, საჭურჭლესთან.

მესამე ნაჭერი მდებარეობს მოსკოვის ბალკაში, სადაც მოსკოვის ზასტავა იყო და შეიცავს 2000 კვ. საყენამდე მიწას, რომელიც არის იჯარით მიცემული კვ. საყ. 40 კაპიკათ წელიწადში.

მეოთხე ნაჭერი არის საძოვარი მთაზედ მდებარეული ბალკის ზემოთ და შეიცავს 5 დესეტინას და 352 კვ. საყ. მიწას.

მეხუთე ნაჭერი, სახელათ ნაურდოვალი, არის საბაღე ადგილი თავისის წყლით; ის მდებარეობს მოცნო-გროზინსკის გზის აღმართთან, მტკერის პირას, 1 1/2 ვერსტზედ ტილისზედ და შეიცავს 1-ს დესეტინას და მიწას.

დაჩა, რომელიც მდებარეობს სოფელს მქორაყანას, პოჯრის გზის მარჯვენა ნივ, ტფილისზედ არის 2 ვერსტზედ და შეიცავს 183 კვ. საყ. მიწას, სათიბს და საძოვარს მიწას, ორ ეტაჟიან სახლს თავისი თავლით და სამზარეულოთაგან, ბაღს, წყალს და ორს აუზს.

შასხედ მოლაპარაკება შეიძლება ამ მამულის პატრონთან, რომელიც სდგას მოსკოვის ბალკაში, ჩინოვნიკის სუსლოვის ზემო ეტაჟაში.